ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 48 22/06/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.05.2015 წ.-დან 16.06.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების , კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. ა(ა)ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“ს დირექტორის ანგარიშის მოსმენა სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით.
   მომხს:ა.მექვაბიშვილი.

2. სკოლამდელი დაწესებულების მუშაკთა კვალიფიციური გადამზადების საკითხი;
   მომხს: ლ.საჯაია

3. ურეკის საზაფხულო სეზონთან დაკავშირებული ღონისძიების პროგრამის განხილვა გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად.ანალიზი, შენიშვნები, რეკომენდაციები.
   მომხს:მ.ქუტიძე; ნ.ხომერიკი;

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ სამომავლო გეგმები, უახლოესი პერსპექტივები, რეკომენდაციები.

   მომხს: ზ.ცინცაძე.

5. მოქალაქეთა პერიოდული მიღება.

   /შემოსულია მოქალაქეების გ. ჭიხვარიას და ლ. ჩიხლაძის თხოვნა

   სამედიცინო მომსახურებისათვის დახმარების თაობაზე/.

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესაფასებლად კომისია მუდმივად ინარჩუნებს კავშირს მოქალაქეებთან და ახორციელებს მოქალაქეთა პერიოდულ მიღებას. გვქონდა გასვლითი შეხვედრა სოფელ ჭანიეთში. კატასტროფულმ მდგომარეობაშია ჭანიეთის ამბულატორია. სტიქიის შემდეგ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ ამბულატორიას სასწრაფოდ ესაჭიროება შველა. მივმართავ საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი დაგეგმარების კომისიას მხარდაჭერა გამოუცხადონ სოფელს, მით უმეტეს გასათვალისწინებელია გამგებლის წარმომადგენლის უდიდესი ტრაგედია. მათ ნამდვილად სჭირდებათ ჩვენი თანადგომა.

აღსანიშნავია, რომ კომისიამ აქტიურად ადევნებს თვალს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალურ, ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

22 მაისს დავესწარით გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ პროექტის პრეზენტაციას, რომელიც წარმოადგინა არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმმა. საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი და ,,ორქისი“, კავშირი მდგრადი განვითარებისათვის ,, ეკოხედვა“ და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო ახორციელებენ პროექტს ,,დავასუფთავოთ საქართველო“. მათ წარმოგვიდგინეს საინტერესო მასალა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რაც სხვადასხვა

სახის კამპანიის გატარებას და ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების გაცნობას გულისხმობს. გამომდინარე აქედან ,კომისია ამ მიმართულებით გეგმავს გააქტიურებას მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

მიმდინარე წლის 28 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გასვლითი ღონისძიებები დაიწყო. ,,კულტურის დღეების“ ფარგლებში ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით კონცერტები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართება. მოხარული ვარ, რომ მსგავსი ღონისძიებებით , მიუხედავად მძიმე სოციალური ფონისა , ხდება სოფლების გამოცოცხლება, ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება და კულტურის დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობა. კულტურული და სპორტული ღონისძიებები 28 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით გაიმართება.

ამა წლის 28 მაისს მმუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები შეხვდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს. სააგენტოს რეგიონალური ურთიერთობების სამსახურის უფროსმა დავით ტყეშელაშვილმა გაცნობითი ხასიათის სამუშაო შეხვედრა გამართა ოზურგეთის , ლანჩხუთის, და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე გურიაში არსებული ძეგლებისათვის კულტურული მნიშვნელობის მინიჭების, ისტორიული ძეგლების გარშემო ძირითადი პრობლემების გამოვლენისა და საჭირო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელების საკითხები განვიხილეთ. ეს იყო კონსტრუქციული დიალოგი, სადაც ერთობლივი თანამშრომლობის პერსპექტივაზე ვისაუბრეთ. დავსახეთ გეგმები, რომლებიც ერთად უნდა განვახორციელოთ. ეს ის სფეროა, რომელიც თითოეული ჩვენგანის თანამონაწილეობას მოითხოვს.

დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ ,,კულტურის განვითარების ცენტრის“ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. აღსანიშნავია ცენტრის დირექტორის ა. სირბილაშვილის აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში შემეცნებითი და საგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. შემიძლია გამოვყო ცენტრის მიერ ორგანიზებული

საგაზაფხულო ინტელექტუალური თამაშები ,,რა? სად? როდის?“, რომელიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის ჩატარდა. ჩვენ დავესწარით მეხუთე, ფინალურ ეტაპს, სადაც მომსწრე გავდით არაჩვეულებრივი ინტელექტუალური შერკინებისა მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელს შორის. ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებული გუნდები კომისიამ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად დიპლომებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

მოხარული ვარ, რომ ჩვენს მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრებით შესაძლებლობა გვეძლევა მხარში დავუდგეთ მუნიციპალიტეტში შშმ პირებს. 1 ივნისს ,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტისაგან საჩუქრები -სათამაშოები, ტკბილეული, წიგნები და სხვა სახვადასხვა სახის საკანცელარიო მასალა გადაეცა საქველმოქმედო ორგანიზაცია „გურიას“, საოჯახო ტიპის სახლის ,,იმედის სხივის“ და დღის ცენტრის ,,ცისკრის ვარსკვლავის“ 28 ბენეფიციარს.

ამჟამად აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან: ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“, რომლებთან ერთადაც ივნისის ბოლო რიცხვებში ვგეგმავთ ტრენინგებს სოფელ ნასაკირალსა და სოფელ დვაბზუში. ტრენინგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა მშობლების გადამზადებას. ტრენინგს გაუძღვებიან პროფესიონალი სპეციალისტები.

ვიმედოვნებ, კომისია აქტიურად გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რადგან დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და საზოგადოება გაცილებით მეტს ელის ჩვენგან.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია